საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №34

2026 წლის 28 აპრილი

ქ. თბილისი

„რეზერვის უმცროსი ოფიცრის ნებაყოფლობითი სამხედრო მომზადების პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 19 აგვისტოს №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„რეზერვის უმცროსი ოფიცრის ნებაყოფლობითი სამხედრო მომზადების პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 19 აგვისტოს №69 ბრძანებით (ვებგვერდი, 20/08/2024, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017246) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. პროგრამაზე, საკუთარი სურვილითა და სამინისტროს გადაწყვეტილებით, მიიღება:

ა) სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მინიჭების გარეშე, საქართველოს ქმედურიანი მოქალაქე, რომლის ასაკი არ აღემატება 30 წელს, ფლობს სახელმწიფო ენას და არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აქტიური სტუდენტი (გარდა ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამის I-IV სემესტრის სტუდენტებისა და სამწლიანი საბაკალავრო პროგრამის I-II სემესტრის სტუდენტებისა) ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

ბ) რიგითების, კაპრალების ან სერჟანტების შემადგენლობის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურე, რომლის ასაკი არ აღემატება 30 წელს და რომელიც არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი (გარდა ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამის I-IV სემესტრის სტუდენტებისა და სამწლიანი საბაკალავრო პროგრამის I-II სემესტრის სტუდენტებისა) ან აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**